



საქართველოს სოფლის მეცნიერების
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

თხილის ნერგის გამოყვანა, გაღების გაშენება და მოვლა (რეკომენდაციები)



თბილისი
2015

რეკომენდაციების ავტორები:

076ა გასაძე – საქართველოს სოფლის

მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის

აკადემიკოსი, პროფესორი;

გიგი ბაზრიშვილი - საქართველოს

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა

აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;

ნუზარ შენგავია

- სოფლის

მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

ნადეჟდა მიროტაძე - სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა დოქტორი;

მაია მიროტაძე - სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა დოქტორი;

ლალი გოგინაშვილი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა

დოქტორი;

ნატოშვილი მიძაძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური

დოქტორი;

რეცენზენტი: 076სებ ბასილია – სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა დოქტორი.

რედაქტორი: ელგუჯა შავაშიძე – საქართველოს სოფლის

მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის

წევრ-კორესპონდენტი,

ტექნიკის

მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსმმ

აკადემიის აკადემიური

დეპარტამენტის

უფროსი.

შესავალი

ქვეყნის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს მეხილეობა წარმოადგენს. ხილი და მისი გადამუშავების შედეგად მიღებული პროცესტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის კვების საქმეში, რადგან შეიცავენ ორგანიზმისათვის საჭირო მრავალ სასარგებლო ნივთიერებას და ხელს უწყობენ მის ნორმალურ ფუნქციონირებას. აქედან გამომდინარე ქართველი კაცი ყოველთვის დიდ უურადღებას უთმობდა ხეხილოვანი კულტურების ახალი ჯიშების შერჩევას, ბალების გაშენებასა და მოვლას.

მეხილეობაში კაკლოვან კულტურებს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავთ. იგი ფართოდაა გავრცელებული ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე. სამრეწველო სორტიმენტში იგი წარმოდგენილია როგორც ინტროდუცირებული ასევე აბორიგენული ჯიშებითა და ფორმებით. საქართველო შეიძლება ამ კულტურების, განსაკუთრებით კაკლისა და თხილის წარმოშობის ერთ-ერთ კერად ჩაითვალოს, რაც მრავალი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებით დასტურდება. პერსპექტივაში მეხილეობის ზონების ნიადაგურ-კლიმატური პირობები კაკლოვანი კულტურების გავრცელების კარგ შესაძლებლობას იძლევა. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის კაკლოვანი კულტურების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. არ ტარდება ნარგაობებში აგროტექნიკური დონისძიებები; ნარგაობათა დიდი ნაწილი დაკინებულია და განადგურების პირასაა მისული; მოსავლის დიდ ნაწილი მავნებელ-დაავადებების ინტენსიური გავრცელების გამო ნადგურდება; ნაკლებად ხდება საუკეთესო ნამჟენი ნერგის წარმოება; ახალი ნარგაობები სტიქიურად, საჭრო წარმომავლობის თესლნერგებით შენდება, რაც მოსავლიანობას საგრძნობლად შეამცირებს და სხვა.

როგორც ცნობილია, საქართველო სასოფლო-სამეურნეო მიწებით ნაკლებად უზრუნველყოფილი ქვეყანაა, ამიტომ აქტუალურად მიგვაჩნია პერსპექტივაში კაკლოვანი კულტურების

ბაღების გაშენების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ისეთ აქტიურ საკითხს, როგორიცაა მცირე კონტურიანი ბაღების გაშენება, რომლის დროსაც გამოყენებული იქნება ჩვენს მიერ შემოთავაზებული დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც მიღებულია მრავალწლიანი სამეცნიერო მუშაობის შედეგად.

ბაღის გასაშენებლად საჭირო ნერგის გამოყვანა

მრავალწლიანი სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შედეგად საქართველოს მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შემუშავებული და წარდგენილ იქნა დასამტკიცებლად საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში სტანდარტი „ნერგები თხილი, კაკალი, ნუში“. პროექტი განხორციელდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, რომელიც დამტკიცებული და მიღებულია სამოქმედოდ: საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ 2009 წლის 17 ივლისის №31 „ს“ განკარგულებით, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს რეესტრში. 2009 წლის 17 ივლისი №268-1.1-00231.

ნერგები დანიშნულების მიხედვით იყოფა:

ჯიშების მიხედვით:

– ელიტური და პომოლოგიურად წმინდა ჯიშები;

სასაქონლო ხარისხის მიხედვით:

– I და II ხარისხის.

ელიტური ნერგი მიღება სადედე მცენარის ვეგეტატური გამრავლების (ამონაყრების აღზრდა, ბუჩქის დაყოფა, კალმების დაფესვიანება) გზით, რომელიც წინასწარ არის შერჩეული; ხასიათდება ჯიშისთვის დამახასიათებელი მორფოლოგიური და

ბიოლოგიური ნიშნებით; მაღალი სამეურნეო და ტექნიკური მაჩვენებლებით; უხვი და რეგულარული მოსავლიანობით. ელიტური ჯიში გამოყავს სამეცნიერო ორგანიზაციებს ან სასერექციო ცენტრებს.

პომოლოგიურად წმინდა ჯიშური ნერგები მიიღება სპეციალიზებულ სანერგე მეურნეობაში. ვეგეტატურ გამრავლების (ამონაფრების აღზრდა, ბუჩქის დაყოფა, კალმების დაფესვიანება) გზით, ელიტური მასალით გაშენებული სადედე ბალიდან, აპრობირებული სამრეწველო ნარგაობიდან ან ერთეული მცენარეებიდან. პომოლოგიური წმინდა ჯიშური მასალა განკუთვნილია სამრეწველო ბაღების გასაშენებლად.

ნერგების გარეგანი სახე უნდა შეესაბამებოდეს ჯიშისათვის დამახასიათებელ კულტივირების ფორმას.

ნერგების ფესვთა სისტემა და მიწის ზედა ნაწილი უნდა იყოს საღი, კარგად განვითარებული, საკარანტინო მავნებლებისაგან დაუზიანებელი.

ნერგები უნდა შეესაბამებოდეს ცხრილში მითითებულ ნორმებს.

თხილის სარგავი მასალა მიიღება ფესვზე განვითარებული ამონაფრით, ბუჩქის დაყოფით, ტოტის გადაწვენით, კალმის დაფესვიანებით ან ფესვის მძინარე კვირტის ამონაფრებით.

თხილის სარგავი მასალა უნდა დახარისხდეს განვითარების მიხედვით. დაირგოს პოლიმერული ტორფნეშომპალიან ქოთნებში ან წინასწარ მომზადებულ სარგავ კვლებში მწკრივებად სქემით: 80 სმ X 20 სმ ამ 100 სმ X 25 სმ.

თხილის ნერგები

მაჩვენებლის დასახელება	ნორმა თხილის ნერგისათვის	
	I ხარისხი	II ხარისხი
ერთწლიანი ნერგი:		
მცენარის სიმაღლე, სმ, არანაკლებ	50	40
ძირითადი ფესვების საშუალო სიგრძე, სმ	30-35	20-25
ძირითადი ფესვების რაოდენობა, ცალი	5	3
შტამბის დიამეტრი ფესვის ყელი-დან 15 სმ სიმაღლეზე, სმ, არანაკლებ	1,5	1,0
ორწლიანი ნერგი:		
მცენარის სიმაღლე, სმ, არანაკლებ	100	65
ნაზარდების რაოდენობა, ცალი, არანაკლებ	5	3
შტამბის დიამეტრი, სმ, არანაკლებ	2,5	1,5
ძირითადი ფესვების საშუალო სიგრძე, სმ, არანაკლებ	65	45
ძირითადი ფესვების რაოდენობა, ცალი, არანაკლებ	7	5

ნერგები სასაქონლო ხარისხის მიხედვით იკვრება კონგბად 25 ცალი რაოდენობით.

ნერგები სანერგეში დახარისხებისას არ ექვემდებარება გასხვლას.

ნერგებს უნდა ახლდეს ჯიშიანობის მოწმობა და ფოტოსანიტარული სერტიფიკატი.

ნერგების დროებითი შენახვის ვადაა ერთი თვე.

**ნერგის წარმოება დახურული ფესვთა სისტემით.
გამოსაყენებელი ჭურჭელი, სუბსტრატი, ნერგის დარგვა
და ნერგის მოვლა**

- დახურული ფესვთა სისტემით ნერგის წარმოებისათვის გამოიყენება პოლიეთილენის ტოპრაკები, მცირე მოცულობის პლასტმასის ჭურჭლები, სპეციალური ქოთნები და ა.შ. მოსახერხებელი და იაფია პოლიეთილენის ტოპრაკები: თხილისათვის – ზომით 30×20 სმ.
- ნაზავად გამოიყენება ადგილობრივი რესურსები: ფხვიერი მიწა, მდინარის შლამი, გადამწვარი ნაკელი, ტორფი, ცეოლითი და სხვ.
- საუკეთესო ნაზავია – გადამწვარი ნაკელი და კორდის მიწა შეფარდებით 1:1. მასში არსებული საკვები ელემენტები მთლიანად უზრუნველყოფს შეზღუდულ არეში ნერგის კვებას როგორც მუდმივ ადგილზე გადარგვამდე, ისე გადარგვის შემდეგ.
- ჭურჭლების ნაზავით შევსების შემდეგ მოხდება მორწყვა.
- თხილის ბუჩქიდან მიღებული ამონაყრები დაირგვება პოლიეთილენის ტოპრაკებში ან სხვა ჭურჭელში. გადაიჭრება 10-12 სმ სიმაღლეზე და დალაგდება ერთმანეთთან მჭიდროდ ლია ცის ქვეშ გაბნეული მზის სინათლის პირობებში.
- ნერგების მოვლა ითვალისწინებს მორწყვას, მავნებელ-დავადებებთან ბრძოლას, ფესვურ და ფესვგარეშე გამოკრებას. გამოიყენება კრისტალონი – 300 გრ 100 ლ წყალში. გამოკვება და შესხურება მოხდება 3-ჯერ 10-10 დღის ინტერვალით.
- სუბსტრატში ტენიანობის რეგულირება ხორციელდება მორწყვით, სპეციალური დასაწვიმებლებით 7-10-ჯერ ამინდის პირობების მიხედვით.
- გადატენიანების თავიდან აცილების მიზნით ჭურჭელს გაუკეთდება სადრენაჟე ხვრელები.

- მოვლის სათანადო პირობებში თხილის ნერგი აღწევენ სტანდარტულ მაჩვენებლებს.

მცირე კონტურიანი მაღალინტენსიური ტიპის ბალების გაშენება

- თხილის ბალების გასაშენებლად ნაკვეთების შერჩევაში მონაწილეობას იღებს დარგის საეციალისტები: მეხილე, ნიადაგმცოდნე, აგროკლიმატოლოგი და სხვ. საჭიროა მოხდეს ნაკვეთის შერჩევა და მოქმედობის ქარსაფარი ზოლები. ნიადაგის ანალიზის საფუძვლებზე განისაზღვროს ორგანულ-მინერალური სასუქების შეტანის ნორმები. ყოველივე ეს მოთითებული უნდა იყოს ბალის გაშენების პროექტში, რომელსაც გამოსცემს საეციალური საპროექტო ორგანიზაცია.
- გამოყოფილ ნაკვეთებზე ჩატარდება ქვებისა და ბუჩქნარებისაგან გასუფთავება, მოსწორება, საჭიროების მიხედვით მოხდება სადრენაჟო არხების გაყვანა. ნიადაგი დაპლანტაჟდება 60-65 სმ სიღრმეზე. პლანტაჟის წინ შეიტანება ორგანულ-მინერალური სასუქები დადგენილი ნორმებით.
- ნიადაგის პლანტაჟი უნდა ჩატარდეს ბალების გაშენებამდე 5-6 თვით ადრე. გაშენების წინ მოხდება პლანტაჟის ჯვარედინი გადახვნა, კულტივაცია-გაფხვიერება და დაგეგმვა.
- დარგვამდე 5-6 დღით ადრე ამოილება ორმოები ზომით 40X40 სმ. და მასში შეიტანება ორგანულ-მინერალური სასუქები: გადამწვარი ნაკელი 5-6 კგ, სუპერაგრო (NPK-8.24.24) 50-100 გრამი ან ნიტრომოფოსკა (NPK-16.16.16) – 100-150 გრამი თოთოეულში. დარგვამდე სასუქები კარგად უნდა აირიოს ორმოში ჩასაყრელ მიწასთან ერთად.
- თხილის ერთშტამბიანი ინტენსიური ტიპის ბალები ვაკე ადგილზე ნიადაგურ-კლიმატური პირობების და ჯიშების ზრდის სიძლიერის მიხედვით გაშენდება 4X3; 5X2,5 და 5X3 მეტრ კვების არეზე, ფერდობებზე – 5X4; 4X4 მეტრი კვების არეზე ბუჩქური ფორმით 3-4 დედა ტოტით, ხოლო სფერულ

კვლებზე და ტერასებზე 4X3; 4X2,5 მეტრ კვების არეზე ერთშტამპიანი ფორმით.

- ინტენსიური ტიპის ბაღები გაშენდება დარაიონებული სამრეწველო ჯიშებით ან ზონისათვის აპრობირებული პერსპექტიული ფორმებით ურთიერთ დამამტვერიანებლების გათვალისწინებით.
- თხილის ბაღებში ჯიშები ისე უნდა განლაგდეს, რომ დასამტვერიანებელი და დამამატვერიანებელი ჯიშები მორიგეობით იცვლებოდნენ ყოველ მეზვიდე ან მეცხრე რიგში.
- თხილის სამრეწველო ბაღის გაშენებისათვის დასავლეთ საქართველოს რეგიონისათვის რეკომენდირებულია ჯიშები: ანაკლიური, შველისყურა, გულშიშველა, ნემსა, დედოფლის თითი. დამატვერიანებელ ჯიშ ხაჭაპურასთან ერთად:
- აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში კი: გულშიშველა, შველისყურა. დამამტვერიანებელი: განჯასთან და ხაჭაპურასთან ერთად.
- ინტენსიური ტიპის (ერთშტამპიანი) ბაღისათვის რეკომენდირებულია: დედოფლის თითი, გულშიშველა, შველისყურა, ნემსა.
- ბაღების გაშენება დახურული ფესვთა სისტემის მქონე ნერგით შესაძლებელია წლის ნებისმიერ დროს. გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომაზე ან გვიან შემოდგომაზე. ზაფხულში გაშენება მოხდება მწვანე ნერგით.
- დარგვის წინ ორმოები შეივსება ნაკელშერეული მიწით და კარგად მოირწყვება. ორმოში მოთავსდება ნამყენი, და ფრთხილად შემოჭრება პოლიეთილენის ტოპრაკი ან მიეჭრება ფხვიერი მიწა და კვლავ მოირწყვება. დარგვის შემდეგ ნამყენი აიკვრება ჭიგოზე.

ბაღის მოვლა

- ახლადგაშენებულ ბაღებში რეგულარულად ჩატარდება ნიადაგის დამუშავება-გაფხვიერება, სარეველებთან და მავნებელ დაავადებებთან ბრძოლა, მორწყვა, ამონაყრების შეცლა, ვარჯის ფორმირება, მინერალური სასუქებით გამოკვება და სხვ.
- გაშენების პირველ წლებში (1-3 წელი) რიგთაშორისები და მწკრივები შესაძლებელია იყოს შავად ხნულ მდგომარეობა-ში ან დაითესოს პარკოსანი კულტურები: ლობიო, სოია ან კიდევ სიდერატები (ბარდა, ცერცველა, ცულისპირა) რომლებიც ჩაიხვნება ყვავილობის პერიოდში.
- ახალგაზრდა ბაღებში ნიადაგის დაკორდება ან მრავალ-წლიანი ბალახების დათესვა არ არის რეკომენდირებული. იგი აფერხებს ფესვთა სისტემის განვითარებას და ვარჯის ფორმირებას. იგი ახანგრძლივებს მსხმოიარობა-ში შესვლის პერიოდს.
- გეგეტაციის პერიოდში ამინდის პირობების მიხედვით ჩატარდება 3-4 მორწყვა, მორწყვის შემდეგ კი მცენარის გარშემო და რიგთაშორისებში ნიადაგის გაფხვიერება.
- თხილის ერთშემსრულების მიზანი ამონაყრების წინააღმდეგ გამოიყენება მულჩი. ნერგს მიწის ზედაპირიდან 3-5 სმ სიმაღლეზე შემოხვევა და ნიადაგზე დაეფინება 30-35 სმ დიამეტრის ნებისმიერი ფერის პოლიეთილენის ფირი, რომელიც დაიფარება 3-4 სმ ნიადაგის ფენით. საფენი ასეთ მდგომარეობაში რჩება 2-3 წელი. იგი ზღუდავს, როგორც ამონაყრების ისე მცენარის გარშემო სარეველების განვითარებას, ხელს უწყობს მცენარის გარშემო ნიადაგში ტენიანობის შენარჩუნებას.
- თხილის მცენარის ვარჯის ფორმირება გაშენების მეორე წლიდან იწყება. ვარჯის ფორმირება მოხდება 50-60 სმ შტამბის სიმაღლეზე.

- მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ ახალი ნაზარდების წარმოქმნის გამო ადგილი ექნება ვარჯის ჩახშირებას, რაც ხელს შეუშლის სანაყოფე თრგანოების განვითარებას, შეამცირებს მოსავლიანობას და გააუარესებს მის ხარისხს. ყურადღება უნდა მიექცეს ვარჯის გასხვლა-გამეჩხერებას.
- მოსავლის რეგულირებისათვის მცენარეს შეაცლება სუსტად განვითარებული, დაზიანებული, მოტეხილი, გამხმარი, ერთი მეორეში გადახლართული ტოტები და ვარჯში განვითარებული მოზვერა ყლორტები თუ ისინი ვარჯის რომელიმე ნაწილის აღსაღვენად არ არის გათვალისწინებული.
- ვარჯის ფორმირება ჩატარდება იმის გათვალისწინებით, რომ ვარჯის ყველა ნაწილი კარგად იყოს განათებული. ამ დროს შეიქმნება ხელსაყრელი პირობები ნაყოფების განვითარებისა და ვარჯში თანაბრად განაწილებისათვის. გაიზრდება პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები.
- ბადებში ინტენსიურად ვრცელდება სხვადასხვა სახის როგორც ერთწლიანი ისე მრავალწლიანი ფესურიანი სარეველები. მათ წინააღმდეგ გამოიყენება როგორც კონტაქტური ისე სისტემური მოქმედების პერბიციდები გლიფოსინატის (ბასტა) და გლიფოსატის (კლინი, ურაგანი, ნოკდაუნი) ჯგუფებიდან. შესხეულება მოხდება მცენარის დაცვით სპეციალური შემასხურებლებით, რათა თავიდან იქნას აცილებული მცენარეების დაზიანება.
- ვეგეტაციის პერიოდში საჭიროა ჩატარდეს მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა.
- თხილის მავნებლებიდან გვხვდება: თხილის ცხვირგრძელა, თხილის დიდი ბუგრი, კვირტის ტკიპა, შავი ხარაბუზა და სხვ. დაავადებებიდან – თხილის ნაცარი, ნაყოფების სიდამპლე და სხვ.
- მავნებელ-დაავადებათა კონტროლი ხორციელება ინსექტიციდების, აკარიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით.
- ინსექტიციდებიდან გამოიყენება: დეცის პროფი, კონფიდორ მაქსი, კორატე, შერპა და სხვ.

- აკარიციდებიდან მაღალეფექტურია: ენვიდორი, ნეორონი, ომაიტი.
- ფუნგიციდებიდან – სპილენძის შემცველი პრეპარატები, ტო-კაზი, ბაილეტონი, მანგრიფი, ანტრაკოლი და სხვ.
- ვეგეტაციის პერიოდში მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ საჭიროა 4-5 წამლობის ჩატარება.
- ბრძოლის ქიმიურ მეთოდებთან ერთად გამოიყენება ბრძოლის ბიოლოგიური, აგროტექნოლოგიური და მექანიკური მეთოდები.

თხილის მსხმოიარობა და ხარისხობრივი მაჩვენებლები

თხილის მოსავლიანობის გაზრდის, მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების ერთ-ერთი ძირითადი პირობება მაღალ-პროდუქტიული პერსპექტიული ჯიშებითა და ფორმებით ერთშებამბიანი (ინტენსიური) ბაღების გაშენება და არსებული ბაღების მიზანმიმართული რეკონსტრუქციის ტექნოლოგიების დანერგვა.

მოსავლის რაოდენობის გაზრდისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მცენარეთა ოპტიმალური განლაგება ფართობის ერთეულზე, ჯიშების ზრდის თავისებურებებისა და ბუნებრივი ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

მოსავლის რაოდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის ხარისხობრივ მახასიათებლების, როგორიცაა: ნაყოფის ერთგვაროვნება, სიდიდე, ფერი, წონა, ნაჭუჭის სისქე და სიმაგრე, გულის გამოსავლიანობა, ქიმიური შემადგენლობებიდან ცხიმებისა და ცილების შემცველობა (ცხრილი 5).

თხილის ძლიერი ზრდის ჯიშებისათვის და ფორმებისათვის: გულშიშველა, ანაკლიური, შველისყურა, კუდრიავჩიკი, ათა-ბაბა, იმერეთის 27, ფორმა 11 და სხვა მცენარეთა დგომის სიხშირე 5X3 მ-ია, ერთ პა-ზე ძირთა რაოდენობა კი 666; ერთი

ძირის საშუალო მოსავლიანობა სრულმსხმოიარობის პერიოდში 5.6გვ-დან 6.5 კგ-მდე იცვლება. საშუალო საჰქექტრო მოსავლიანობა კი 38 ცენტნერიდან 43 ცენტნერამდე, ხოლო საშუალო და სუსტი ზრდის ჯიშებისა და ფორმებისათვის: ხაჭაპურა, ნემსა, ჩხიკვისთავა, დედოფლის თითი, განჯა, იმერეთის 21, ფორმა 19, ფორმა 37, ფორმა 5. მცენარეთა დგომის სიხშირე 4X3 მ და 4X2.5 მ შესაბამისად 1 ჰა-ზე ძირთა რაოდენობა 833 და 1000 ძირი. ერთი ძირის საშუალო მოსავლიანობა ცვალებადობს 3.6 კგ-დან 4.9 კგ-მდე, საჰქექტარო მოსავლიანობა კი 29.9 ცენტნერიდან 45 ცენტნერამდე.

ნაყოფის წონის დანაკარგება ძირითადად ადგილი აქვს 10%-იანი საწყისი ტენიანობით შენახვის შემთხვევაში პირველი სამი თვის მანძილზე ბუნებრივი დანაკარგი 1.12%, ე.ი. 11.2 კგ-ია ერთ ტონაზე, ხოლო ერთი წლის მანძილზე შენახვისას კიდევ 1.2% ე.ი. 12 კგ 1 ტონიდან.

ცხიმის შემცველობა ცვალებადობს 42.65%-დან (ფორმა 37) 68.54%-მდე (ჯიში განჯა), ცილის შემცველობა 10.67%-დან (ჯიში ჩხიკვისთავა) 14.91%-მდე (ჯიში განჯა); გულის გამოსავლიანობა 43%-დან 53%-მდე.

თხილის ნაყოფი გემურ (სასაქონლო) თვისებებს ინარჩუნებს მოსავლის დროული აღება და პირველადი დამუშავების რეკომენდირებულ პირობებში შენახვისას ორი წლის განმავლობაში.

თხილის კულტურა მრავალწლიანი მერქნიანი მცენარეა. თხილის ბალის გაშენება-მოვლაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურებას, რომელიც იწყება მსხმოიარობის დაწყებიდან, დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯიში ან ფორმა რაც უფრო ადრე იწყებს მოსავლის მოცემას და უფრო ადრე შედის სრულმსხმოიარობის ასაკში, მით ადრე იფარება მასზე გაწეული ხარჯები. ხეხილოვან კაკლოვან კულტურებთან შედარებით თხილი ბევრად ადრე იწყებს მსხმოიარობას. ნერგის დარგვიდან მე-3 წელს იგი იწყებს მოსავლიანობას, ხოლო უკვე მე-5 წელს იწყება მის გაშენება-მოვლაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურე-

ბა. მომდევნო წლებში მოსავლიანობა სწრაფად მატულობს და 7 წლიანი ნარგაობიდან საკმაოდ მაღალი მოსავალი (30-45 ც/ჰა) მიიღება.

მოსავლის აღება, ვადების დაზუსტება, პირველადი გადამუშავება, შენახვის პირობები და რეალიზაცია

მოსავლის აღება: მოსავლის აღებისას შესაძლებელია როგორც ხელით ასევე სათანადო ტექნიკის გამოყენებითაც, მაგრამ უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ რეპროდუქციული ორგანოები მექანიკურად არ დაზიანდეს, რადგან ეს გავლენას იქნიებს მომავალი წლის მოსავალზე.

მოსავლის აღების ვადა

თხილის მოსავლის აღების ვადა უნდა შეირჩეს ინდივიდუალურად ჯიშების მიხედვით ივლისის ბოლოდან-სექტემბრის პირველ ნახევრამდე. საკრეფი სიმწიფის პერიოდში ვადის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად:

- ნაყოფის გული მთლიანად ავსებს ნაჭუჭს და ღებულობს ჯიშისთვის დამახასიათებელ შეფერვას
- საბურველი ხდება მუქი ყავისფერი და თხილი ადვილად სცილდება საბურველს.
- ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს საკრეფ სიმწიფეში გულის ტენიანობას. ტენის ოპტიმალური ნიშნული ძირითადი ჯიშებისთვის აღმოსავლეთ საქართველოს აგროეკოლოგიურ ზონაში არის საშუალოდ 17-19%, და-სავლეთ საქართველოს ზონებისთვის, კლიმატური პირობებიდანგამომდინარე, აღინიშნა ნიშნულის 2-3 %-ით მატება.

პირველადი გადამუშავება: პირველადი გადამუშავების პირველი ეტაპი თხილის დაუყოვნებლივ ოპტიმალურ

ტენიანობამდე გაშრობას გულისხმობს. გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- თხილის გაშრობის პროცესი ყველა ჯიშისათვის უნდა განხორციელდეს ერმანეთისაგან განცალკავებულად ტენის ოპტიმალურ ნიშნულამდე, ა.უ. 12%

- ერთ პარტიად ითვლება მხოლოდ ერთი და იმავე ჯგუფის, კლასის, ჯიშის, კალიბრისა და წლის მოსავლის თხილი.

- დაუშვებელია სხვადასხვა წლის მოსავლის თხილის ერთმანეთში შერევა.

- ეკონომიურობისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ მიზანშეწონილია თხილის სპეციალიზებულ საშრობებში ან ბუნებრივ პირობებში - მზეზე შრობა. შესაძლებელია ორი მეთოდის გამოყენება: ფერმენტაციით და ფერმენტაციის გარეშე.

თხილის შენახვის პირობები თხილის შენახვის პერიოდში აუცილებელია შესაბამისი საცავის შერჩევა და ყოველდღიური დაკვირვების წარმოება (შენახვის რეჟიმის კონტროლი) გაუტეხავი თხილი (ტომრებში) უნდა ინახებოდეს: ტემპერატურა $15-20^{\circ}\text{C}$ ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ა.უ. 65-70%, გატეხილი თხილის (გულის) შენახვა მცირე დროით შესაძლებელია 10°C ტემპერატურაზე, ხანგრძლივი შენახვისთვის უნდა იქნას გამოყენებული ვაკუუმშეფუთვა და შენახვის ტემპერატურა შემცირდეს 5°C -მდე

თხილის რეალიზაცია. საქართველო მსოფლიო ბაზარზე თხილის ექსპორტითი ქვეყნების ხუთეულში შედის და ბაზარზე თხილი გააქვს ნედლეულის სახით. ბოლო წლების განმავლობაში თხილის კულტურით სერიოზულ დაინტერესებას სამრეწველო ბაღების გაშენება და თხილის წარმოების ზრდა ცხადყოფს. თხილის ექსპორტი ბოლო წლების

განმავლობაში სტაბილურად იზრდება. ამასთან, თხილის სექტორს აქვს განვითარების დიდი პოტენციალი, რასაც საქართველოს ექსპორტის საერთო მოცულობაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია, მაგრამ საქართველოდან ექსპორტირებული თხილის დაბალი სარეალიზაციო ფასი ძირითადად თხილის შუამავლების გზით გაყიდვითა და დაბალი ხარისხითაა განპირობებული, რაც ფერმერული მეურნეობებისა და წარმოება/გადამუშავების პროცესების საერთაშორისო ნორმებთან შეუსაბამობით, კერძოდ, სურსათის უვნებლობის პრობლემებით და ზოგადად ქართული კომპანიების მიმართ დაბალი ნდობით არის გამოწვეული. მსოფლიო ბაზარზე უფრო მყარი პოზიციების მოსაპოვებლად აუცილებელია როგორც თხილის მოყვანისას, ასევე მოსავლის აღება გადამუშავებისას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის გაუმჯობესება.

დასკვნები

კვლევებისა და მიღებული ექსპერიმენტული მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

- თხილის კულტურის ზრდა განვითარებისათვის არსებულმა ბუნებრივმა პირობებმა და ნაყოფებზე მზარდმა მოთხოვნილებამ ასევე კულტურის მაღალმა ეკონომიკურმა ეფექტიანობამ განაპირობეს მისი მასიური გავრცელება. ჩვენს მიერ თხილის კულტურის ზრდა-განვითარებისათვის დადგენილია ამ კულტურისათვის გავრცელების ზღვარი, კერძოდ: დასავლეთ საქართველოში: იმერეთის მეხილეობის ზონაში 50-750 მ-დე ზღვის დონიდან; გურია-აჭარაში – 100-600 მ-დე; სამეგრელოსა და აფხაზეთში 30-650 მ-დე.

- აღმოსავლეთ საქართველოში: კახეთის მეხილეობის ზონაში 250-650 მ-დე, ხოლო ქვემო ქართლში 350-600 მ-დე.
- ჩვენი კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა თხილის 97 აბორიგენული ჯიში და ფორმა. აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლენილია 38, ხოლო დასავლეთ საქართველოში 59 აბორიგენული წარმოშობის ჯიში და ფორმა. გამოვლენილი ჯიშებიდან ისინი ძირითადად მოდიან კახეთსა და ქვემო ქართლზე. იმერეთის მეხილეობის ზონაში. 1995 წლიდან დღემდე გამოვლენილი და შესწავლილი პერსპექტიული ჯიშებით ექსპერიმენტაციური ბადები გაშენებული იქნა: კახეთის მეხილეობის ზონაში: გურჯაანისა და ყვარლის რაიონში: იმერეთის მეხილეობის ზონაში: სამტრედიისა; სამეგრელო ზემო სვანეთის: აბაშის, სენაკისა და ზუგდიდის; გურიის: ჩოხატაურის და აჭარის ა.რ: ხელვაჩაურის რაიონებში.
 - თხილის ნაყოფთა მოსამწიფებლად აქტიური ტემპერატურათა ჯამი ($\Sigma t > 10^6$ C) საადრეო ჯიშებისათვის საჭიროა $1700-1900^0$, საშუალოსათვის – $3200-3700^0$, ხოლო საგვიანოსათვის – $3900-4000^0$. აქტიურ ტემპერატურათა ჯამის უზრუნველყოფის გათვალისწინებით განისაზღვრა გავრცელების ზონები ზღვის დონიდან სიმაღლისა და ჯიშების სიმწიფის პერიოდის მიხედვით. დასავლეთ საქართველოს მეხილეობის ზონებში 3500^0 აქტიურ ტემპერატურათა ჯამი დაახლოებით 500 მ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 650 მ-მდე გროვდება. $3200-3800^0$ აქტიური სითბოს დაგროვებას დასავლეთ საქართველოში ადგილი აქს 300 მ, აღმოსავლეთ საქართველოში 500 მ სიმაღლემდე $3900-4000^0$;
 - თხილის ნერგის გამოყვანა და მაღალპროდუქტიული ერთგვაროვანი სტანდარტული ნერგის მიღება, რომელიც ადრე შევა მსხმოიარობაში და შეინარჩუნებს დედა მცენარის ნიშან თვისებებს, მიზანშეწონილია ვეგეტატიური ნაწილებით. პრაქტიკული და ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მოხერხებული და გამართლებული წესია

გადაწვენით მიღებული ამონაფრების აღზრდა სანერგეში კალმების დაფესვიანებით.

- კეგებატიურად გამრავლებული თხილის მცენარე გადის ასაკობრივი განვითარების პერიოდს. ასაკთან ერთად იცვლება მისი ზრდის, დაბერებისა და გაახალგაზრდავების რითმი. უხვი და მაღალხარისხიანი მოსავლის მისაღებად 2-3 ჯიშის ერთად გაშენების პირობებში მოსავალი იზრდება დამტკერიანების შეკეთები პირობების გამო; თხილის ყვავილობის დასაწყებად საჭიროა $90-100^0$ აქტიურ ტემპერატურათა ჯამი. ნაყოფის მოსამწიფებლად საადრეო ჯიშებისათვის მინიმუმ 1500^0 , საშუალო სიმწიფის პერიოდის ჯიშებისათვის $3200-3300^0$, ხოლო საგვიანო ჯიშებისათვის $3900-4000^0$ აქტიურ ტემპერატურათა ჯამი. სავგაგებაციო პერიოდის ხანგრძლივობა გრძელდება $280-294$ დღე.
- საადრეო ჯიშები და ფორმები ნაყოფები მწიფდებიან ივლისის პირველ ნახევარში, რისთვისაც საჭიროა $\Sigma t > 10^0$ ტემპერატურა $1800-1900^0$, საშუალო სიმწიფის პერიოდის ჯიშები და ფორმები მწიფდებიან აგვისტოს პირველ ნახევარში, რისთვისაც $\Sigma t > 10^0$ საჭიროა $3200-3300^0$; საგვიანო ჯიშები და ფორმები მწიფდებიან აგვისტოს ბოლოს, სექტემბრის პირველ ნახევარში, რისთვისაც $\Sigma t > 10^0$ საჭიროა $3900-4000^0$.
- თხილის ჯიშები ზრდის სიძლიერის მიხედვით დაჯგუფდა: ძლიერი ზრდის: ანაკლიური, ჩერქეზული II, შველისყურა, განჯა, კუდრიავჩიკი, გულშიშველა, ხაჭაპურა, ფორმა 21, ფორმა 5, საშუალო: ვანის თეთრი, ვანის წითელი, ლომბარდის თეთრი, ლომბარდის წითელი, ნემსა, საივანობო, ფორმა 11, ფორმა 37 და შედარებით სუსტი ზრდით: დედოფლის თითი, უჩა თხილი, ჩია, ფორმა 27.
- მცენარის სიდიდეზე და მათ განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს მცენარის ასაკი. მსხმოიარობაში შესვლის პერიოდისათვის თხილი ინვითარებს შედარებით პატარა

- ზომის ნაყოფებს, რომლებიც თანდათან ასაკში შესვლისას აღწევენ ჯიშისათვის დამახასიათებელ სიდიდეს.
- თხილის რეგულარული, მაღალხარისხოვანი მოსავლის მისაღებად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა დამამტვერიანებელი ჯიშის სწორი შერჩევა და გაადგილება ნარგაობაში დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-გურიის და იმერეთის ზონაში დამამტვერიანებელ ჯიშებად რეკომენდირებულია ხაჭაპურა, ნემსა, იმერეთის 27, ჩხიკვისთავა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში: განჯა, ხაჭაპურა, ათა-ბაბა და ფორმა №5;
 - თხილის სამრეწველო ბალი უნდა გაშენდეს 2-3 პერსპექტიული ჯიშით ან ფორმით; რელიეფური პირობებისა და ზრდის სიძლიერის გათვალისწინებით 5X3 მ. ან 4X3 მ. მცენარეთა დგომის სისწირით შტამბის სიმაღლე 70 სმ. დასავლეთ საქართველოში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 4X3 მ. ან 4X2,5 მ. შტამბის სიმაღლე 50 სმ; ერთშტამბიანი ფორმირების შემთხვევაში ვარჯი უფრო კომპაქტურია, მისი პროდუქტიული და არაპროდუქტიული ნაწილების შეთანაწყობა ოპტიმალურია; რაც ერთშტამბიანი ფორმის ვარჯის უკეთეს სტრუქტურაზე მიუთითებს. მნიშვნელოვნად იზრდება მცენარის ვარჯის ზედაპირის სინათლესთან შეხება; რაც მნიშვნელოვნად ცვლის ფოთლების ფიზიოლოგიურ მდგომარეობას, იზრდება მათი ფოტოსინთეზური აქტივობა;
 - ნაყოფწარმოქმნის და განვითარების უკეთესი პირობების გამო ვარჯში ნაყოფები თანაბრადაა განაწილებული მთელ მოცულობაში გაუმჯობესებულია სარისხობრივი მაჩვენებლები;
 - თხილის კულტურის ინტენსიური მიმართულებით განვითარება მნიშვნელოვნად ზრდის წარმოების რენტაბელობას;
 - ახალგაზრდა ბალში (მსხმოიარობამდე) რიგთაშორის რეკომენდირებულია ერთწლიანი კულტურების მოყვანა (ხოია, ლობიო, მიწისთხილი, ბარდა, ცერცველა); რიგთაშორის

მცენარეთა განლაგებამ ხელი არ უნდა შეუშალოს ძირითადი კულტურის თხილის ზრდა-განვითარებას;

- თხილის ახალგაზრდა ბადში მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა აუცილებელია ყოველწლიურად დამტკიცებული აგროწესებით, ვადების და ნორმების დაცვით. (ორგანული სასუქი 10-15 ტ/ჰა N₁₂₀P₁₅₀K₉₀ კგ/ჰა.);
- თხილი უნდა გაშენდეს ქარებისაგან ბუნებრივად დაცულ ადგილებში ან სხვა შემთხვევაში ნარგაობის გაშენებამდე რამდენიმე წლით ადრე უნდა მოეწყოს ქარსაფარი ზოლები, სადაც უპირატესად გამოყენებული იქნება რეკომენდებული მარადმწვანე მცენარეები;
- ერთშეგამბიანი ფორმირების ბადებში შესაძლებელია შემჭიდროვებულ ვადებში მოსავლის ადება მექანიზაციის გამოყენებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დანახარჯებს.

რეკომენდაციები წარმოებას

1. თხილის სამრეწველო ბადის გაშენების რეკომენდებული აგროვადაა დასავლეთ საქართველოს მეხილეობის ზონებისათვის 15 ნოემბრიდან იანვრის პირველ ნახევრამდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ოქტომბრის ბოლოდან დეკემბრის ბოლომდე. ბადის გაშენების სქემა ცვალებადობს ნიადაგის ტიპის და რელიეფური პირობების გათვალისწინებით;
2. თხილის სამრეწველო ბადი უნდა გაშენდეს 1 ან 2 წლიანი სტანდარტული ჯიშური ნერგით, ამა თუ იმ მეხილეობის ზონისათვის დარაიონებული და პერსპექტიული 2 ან 3 ჯიშით, შესაბამისი დამამტკიცებული ჯიშის გათვალისწინებით. ნერგი ისე უნდა დაირგას, რომ ფესვის ყელი დაიფაროს 4-5 სმ სისქის მიწის ფენით. მორწყვა აუცილებელია დარგვისთანავე;
3. თხილის ბადის ვაკე ან ნაკვეთის 5⁰-მდე დაქანების პირობებში რეკომენდირებულია ინტენსიური (ერთშეგამბიანი) ტი-

- პის 5X3 მ, 4X3 მ ან 4X2.5 მ მცენარეთა დგომის სიხშირით და 50-70 სმ. სიმაღლის ვარჯით, ჯიშის ზრდის სიძლიერის გათვალისწინებით;
4. თხილის სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებისა და მაღალხარისხოვანი მოსავლის მიღების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვარჯის გასხვლა-ფორმირებას, გამხმარი – დაზიანებული ტოტებისა და ფესვის ყელიდან განვითარებული ამონაურების პერიოდულ გასუფთავებას.
- თხილის მოსავლის აღება უნდა ჩატარდეს სრული სიმწიფის პერიოდში, როდესაც საბურველი ფუძესთან მოყვითალო-ოქროსფერს მიიღებს და ოდნავი შერხევით ნაყოფი საბურველიდან ადგილად ვარდება.
5. ჩვენს მიერ საქართველოს მეხილეობის ზონების მიხედვით, გამოვლენილი პერსპექტიული თხილის ჯიშებიდან და ფორმებიდან, სიმწიფის პერიოდების მიხედვით რეკომენდებულია:
- იმერეთის:** გულშიშველა, შველისყურა, დედოფლის თითი, ჩხიკვისთავა, ვანის თეთრი, იმერეთი 21, იმერეთი 27, დამამტვერიანებელი კი ხაჭაპურა და ნემსა.
- სამეგრელოსა და ზემო სვანეთის:** ანაკლიური, ჩერქეზული II, კუდრიავჩიკი, ფორმა 11, ფორმა 37, შველისყურა; დამამტვერიანებელი: ხაჭაპურა და ხოჯი.
- გურიის:** შველისყურა, გულშიშველა, დედოფლის თითი, ჩხიკვისთავა, ვანის თეთრი, იმერეთი 27, ფორმა 5, ფორმა 19; დამამტვერიანებელი: ხაჭაპურა და ნემსა.
- გახეთის:** გულშიშველა, შველისყურა, კუდრიავჩიკი, ათაბაბა, ფორმა 37, იმერეთი 21; დამამტვერიანებელი: განჯა და ხაჭაპურა.
- რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის:** გულშიშველა, შველისყურა, საივანობო, ფორმა 21, დედოფლის თითი; დამამტვერიანებლად ხაჭაპურა და ფორმა 5.
- ქვემო ქართლის:** დედოფლის თითი, გულშიშველა, ვანის თეთრი, ნემსა; დამამტვერიანებელი: ხაჭაპურა, განჯა.

მცხეთა-მთიანეთის: გულშიშველა, შველისყურა, ფორმა 5, დედოფლის თითი; დამამტკერიანებელი – განჯა.

შიდა ქართლის: შველისყურა, დედოფლის თითი, იმერე-თი 21, ნემსა, დამამტკერიანებელი: განჯა და ხაჭაპურა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის: გულშიშველა, შველისყურა, დედოფლის თითი, ვანის თეთრი, ფორმა 27, დამამტკერიანებელი: ნემსა და ხაჭაპურა.

